ოქმი:ო63. 6326196001
თარიღი:15/07/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 25

ქ. სამტრედია. 13 ივლისი, 2026 წელი.

2026 წლის 13 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, გრიგოლ ჩიგოგიძე მ.შ

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის , „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535810 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის

N g- 63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Ng-63.632535825 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N g-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Ng-63.63253583 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ ირ. მელაშვილი/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ ირ. მელაშვილი/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N 62-622619089 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2026 წლის

სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 50.0 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების გეგმა იზრდება 50.0 ათ.ლარით (კომუნალური მომსახურების ხარჯის გასაწევად და სურსათის უვნებლობის შენიშვნების აღმოსაფხვრელად).

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N 62-622619086 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საქონელი და მომსახურეობის გეგმა მცირდება 7.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით (კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად).

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619088 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, შპს ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია" -ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით. შესაბამისად, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით .

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619041 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დანართ N1-

ში შესატან ცვლილებებს.

მცირდება :

მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 200 000 ლარით;

იზრდება:

მუხლი 27. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 125 000 ლარით.

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 10 ივლისის*** N 62-622619116 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონლისა და მომსახურების ხარჯის გეგმა მცირდება 5.0 ათ.ლარით. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმა იზრდება 5.0 ათ.ლარით (ბიულეტინის თანხის ასანაზღაურებლად).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 ივლისის*** N62-622619087 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა შემცირდა 1,186.6 ათასი ლარით და განისაზღვრა - 1,000.0 ათასი ლარით. შესაბამისად, შემცირდეს (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 1,186.6 ათასი ლარით.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15

მაისის N994 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა განისაზღვრა - 695.8 ათასი ლარით. შესაბამისად, გაიზარდოს (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 695.8 ათასი ლარით.

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე შემცირდეს - 1,225.3 ათასი ლარით:

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 251.1 ათასი ლარით;

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 37.3 ათასი ლარით;

- **(03 03 კოდი) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 128.0 ათასი ლარით;

- **(04 05 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 16.7 ათასი ლარით;

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 264.7 ათასი ლარით;
- **(01 01 02 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის** შრომის ანაზღაურების გეგმა - 60.0 ათასი ლარით, სხვა ხარჯების გეგმა - 10.0 ათასი ლარით , ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 110.0 ათასი ლარით;

- **(01 02 01 კოდი) სარეზერვო ფონდის** სხვა ხარჯების გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

- **(01 02 04 კოდი) კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 35.0 ათასი ლარით;

- **(06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 200.0 ათასი ლარით;

- **(03 04 კოდი) კომუნალური, კეთილმოწყობითი** და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 62.5 ათასი ლარით;

ასევე, გაიზარდოს შემოსულობების ნაწილში: 224.9 ათასი ლარით;

- **პროცენტი - 50.0 ათასი ლარით;**

- **ჯარიმები, სანქციები და საურავები - 174.9 ათასი ლარით;**

შესაბამისად გაიზარდოს სულ - 1,450.2 ათასი ლარით:
- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 1,125.0 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 149.2 ათასი ლარით;**
- **(06 02 07 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების** სხვა ხარჯების გეგმა -

125.0 ათასი ლარით.

- **(02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** საქონელი და მომსახურების გეგმა - 17.0 ათასი ლარით;

- **(04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 4.0 ათასი ლარით.

- **(04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 23.0 ათასი ლარით.

- **(05 01 02 05 კოდი) შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს** სუბსიდიის გეგმა - 7.0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(05 01 02 03 კოდი) ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 7.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- **(04 01 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 50.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

- **(01 01 01 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** სოციალური უზრუნველყოფა შემცირდეს 5,0 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(01 01 02 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 50.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 7 ივლისის*** N 62-6226188101 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება, ამ მომართვაზე თანდართული რედაქციით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2		3	4	5	6
1	სოფ. იანეთში მე-20 ქუჩის I შესახვევის მოასფალტება	183282	174118	9164	ივლისი	დეკემბერი	306 გრძ.მ
2	საჯავახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჭოგნარში სკოლის მიმდებარე გზის რეაბილიტაცია ასფალტ-ბეტონის საფარით.	96159	91352	4807	ივლისი	დეკემბერი	257 გრძ.მ
3	გომის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ზედა ეწრის მე-4 ქუჩაზე (ღერძი-1; ღერძი-2) და მე-5 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	161980	153891	8089	ივლისი	დეკემბერი	394 გრძ.მ
4	სოფ. მეორე ნიგორწღვაში მე-9 ქუჩის და მე-11 ქუჩის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები ასფალტ-ბეტონის საფარით	368220	349809	18411	ივლისი	დეკემბერი	781 გრძ.მ
5	ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში სალოცავიდან გოგუაძეების უბნის მიმართულებით საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	449827	427336	22491	ივლისი	დეკემბერი	961 გრძ.მ
6	გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. კეთილაურში არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა	1227900	61395	1166505	ივლისი	დეკემბერი	2623 გრძ.მ
7	ქ. სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩა N60-ის მიმდებარედ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა	252970	240322	12648	ივლისი	დეკემბერი	632 გრძ.მ

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის , „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535810 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ- 63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.63253583 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების

შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 14 ივლისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი